საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2264-03
25/12/2025

“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ” რექტორის 2025 წლის 7 ნოემბრის N2120-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის, გიორგი პაპუაშვილის 2025 წლის 24 დეკემბრის N23171-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ” რექტორის 2025 წლის 7 ნოემბრის N2120-03 ბრძანების მე-13, მე-14, მე-15, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე პუნქტებში, კერძოდ ვადების ნაწილში და ჩამოყალიბდეს ქვემოთ მითითებულის შესაბამისად:

“13. სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასების შედეგები, პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით, გამოქვეყნდება 2026 წლის 12 იანვარს, 10:00 საათზე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში;”
“14. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენა სადოქტორო კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს 2026 წლის 12 და 13 იანვარს 18:00 საათამდე, სამართლის სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე lawfaculty@iliauni.edu.ge;”
“15. სადოქტორო კვლევითი განაცხადების შედეგები აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფით, გამოქვეყნდება 2026 წლის 14 იანვარს, 17:00 საათზე უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში;”
“17. ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან იწარმოებს 2026 წლის 15 იანვარს, 15:00 საათზე, A 411 ოთახში (ი. ჭავჭავაძის გამზირი N32).”
“18. ზეპირი გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება 2026 წლის 16 იანვარს. უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში.”
“19. საპრეტენზიო განაცხადები ზეპირი გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით მიიღება 2026 წლის 19 და 20 იანვარს 18:00 საათამდე, სამართლის სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე lawfaculty@iliauni.edu.ge;”
“20. ზეპირი გამოცდა შესაბამისი მიმართულების სააპელაციო კომისიასთან ჩატარდება 2026 წლის 21 იანვარს, 15:00 საათზე A 411 აუდიტორიაში;”
“21. ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, ასევე სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატთა ძირითადი სია საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით გამოქვეყნდება 2026 წლის 22 იანვარს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში;”

“22. ჩასარიცხ კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდება 2026 წლის 23-დან 30 იანვრის ჩათვლით A 407 ოთახში (ი. ჭავჭავაძის გამზირი N32). დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა ხელშეკრულების გაფორმებისას თან უნდა იქონიონ შემდეგი საბუთები:

ა) პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი და მისი ასლი). უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში – პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ორი ფოტოსურათი (3X4) და ელვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD);

გ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის შემთხვევაში, გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან იმ შემთხვევაში, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

დ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ).

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულებას აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.”

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამართლის სკოლას, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE